

რედაქცია: სოლოლაკზე, ბლის ქუჩაზე, ბ. შ.დ ნოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію „Дრობა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., ხ. მისთვის— 3 მ., ერთსთვის— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

შაი განცხადების: ებით ასოზე 1 კაპ. ქრედიტორული ცეროთი— 5 მ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატეები. დაუბეჭდელი სტატეები ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბლის (საღვთის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღჩესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію газ. „Дროбѣ“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილთ—სამი მანეთი.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 17 სექტემბერს. აღლახა-ბადილამ იწერებთან ლონდონის გაზეთს „დელი ნეუსში“, რომ ინგლისის ჯარები საჩქაროთ მიდიან წინ, ძაბულისაკენაო; იმედი აქვთ, რომ 23 ენკენისთვისთვის ძაბულში შევლენ. აჯანყებულებს მოთავე—კაცები არა ჰყავთ; ამათში არ ჰსუფევს აგრეთვე არავითარი წესი და წყობილობა.

სარაჲო (ბოსნია) 16 სექტემბერს. აესტრიის ჯარების უფროსმა წინადადება მისცა სამხედრო მინისტრს, რომ აქ ჩასაყენებელი ჯარები დააიარალოს: 9 ქვევითი ბათალიონი 1 მსროლელთა ბათალიონი და 2 მინდვრის ბატარეა (8 ზარბაზანი).

კეთილშობილის ბირჟა, 13 სექტემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 95—75
მეორე — — —	— 93—87
მესამესი — — —	— 93—62
მეოთხესი — — —	— 93—50
აღმოსავლეთის პირ.	— 91—62
აღმოსავლეთის მეორე	— 91—75
აღმოსავლეთის მესამე	— 91—50
ოქრო, 1/2 იმპერიალი	— 7—83
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	— — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	— — —

მან. კაპ.

პირველი სესხის — —	232 —
მეორე სესხის — —	227 — 50

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25 — 05	პენსი
ბამბურლი — —	127 — 25	ცენტი
პარიჟი — —	265 —	სანტიმი
ვენა — —	214 —	ჰფენიგი
ბავკასიის კერასინი — —	— —	—

საქართველო

ქველი წიგნებისა და ნივთების დასვა.

ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია მ. არხიმანდრიტის ძესარიოსის წერილი, რომლითაც ერთს ისეთს ახალს და საინტერესო ამბავს ეტყობულობთ, რომელიც ჯერ არსად არ ყოფილა გამოცხადებული. მ. არხიმანდრიტი ამბობს:

„1876 წელს საქართველო-იმერეთის უწმინდესის სინოდის კანტორამ თავის უქაზითა, 30 ივნისიდან 2586, მოახდინა საყოველთაო განკარგულება, სურვილისა და თხოვნისაგამო თფილისის სასულიერო სემინარიის პრაგ-ლენიისა ანუ ბამგეობისა, რომელ ყოველ მონასტრიდამ, უდაბნოდამ და ეკლესიებიდამ წარმოეგზავნათ სემინარიის წიგნების საცავეში ანუ ბიბლიოთეკაში ყოველივე ძველის-ძველად ხელთ-ნაწერი წიგნები და ყოველივე ისტორიული სასწავლო ანუ დროებითად სასარგებლოდ, ანუ საკუთრებად სემინარიისა.“

ღირს-პატივ-ცემული არხიმანდრიტი ძესარიოსი შემოხსენებულის წერილით გვარწმუნებს, რომ რაც იმას შიო-მღვმის მონასტრიდამ, ამ განკარგულების ძალით, ძველი ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები ჩამოუტანია, არც ერთი არ დაკარგულა, ყველა იმას აქვს. შემდგარი ნუსხა წარუდგინე სინოდის კანტორასაო, ამბობს მ. არხიმანდრიტი, ამასთანავე მოვასხენო, რომელ სემინარიის ბამგეობას შემოიღიან დროებით ვათხოვო ეს წიგნები და შეუძლებელია ჩემგან საუკუნოთ დაუკარგო შიო-მღვმის უდაბნოსაო. ეს წიგნები ახლაც შერისცვალების წიგნთ-საცავეში ინახე-

ბათ. მსვე გვიტხრა ჩვენ პირადათ მ არხიმანდრიტმა.

მს კარგი; მაგრამ ვინ გვეტყვის, რომ სხვა მონასტრების, უდაბნოების და ეკლესიების წინამძღვარნიც და მღვდელნიც ასე კეთილ-გონიერად და პატიოსნად მოქცეულიყვნენ, როგორც მოქცეულა ამ შემთხვევაში მ. ძესარიოსი? ვინ დაგვარწმუნებს, რომ სხვებისაგან სემინარიის ბამგეობაში წარდგენილი ძველი წიგნები და ისტორიული ნივთები მთლად და კარგათ არიან?

ჩვენ ძალიან გვაკვირებს ეს გარემოება!

ვერ გავიგია—რისთვის და რა უფლებით მოითხოვა სინოდის კანტორამ; სემინარიის ბამგეობის წინადადებით, ძველი „ქართული ხელთ-ნაწერი წიგნები და ისტორიული სასწავლონი“? რად უნდოდა სემინარიის ბამგეობას ეს წიგნები და ნივთები რომელნიც მთელი ხალხის, მთელი ქართველების საკუთრებაა? რა უფლებით აგროვებს ეს ბამგეობა ისეთს წიგნებსა და ნივთებსა, რომელნიც ჩვენ წინაპართ, ვინ იცის, ჩამდენის საუკუნოების შრომით შეუგროვებია, რომელნიც, ვინ იცის, რა ძვირფას ისტორიულ მასალას შეადგენენ საქართველოს ძველი ისტორიულ ცხოვრების შესატყობლად?

ვინ იქნება პასუხის-მგებელი, რომ ეს ჩვენ წინაპართა ნაშთი ძვირფასი ნივთები დაიკარგოს? ვის უნდა მოეხსნოს, მაგალითად, სემინარიის ბამგეობამ რომ ან დაისაკუთროს, ან გაჰყიდოს, ან შემთხვევით დასწვას ეს ძვირფასი წიგნები და ნივთები?

შესანიშნავია მაინც ამ ჩვენი წინაპართა ნაშთის ბედი! ვინც არ გინდათ, ისინი ეპატრონებიან. ძველ მონასტრებსა და ეკლესიებს განუკუთხავად და შეუწყნარებლად ანგრევენ და აფუჭებენ; ძველ წიგნებს ალბობენ, ხევენ; ძვირფასი თუ რამ ნახეს, იტაცებენ, მიაქვთ. სადაური წესია ეს? რა დროში ეცხოვრობთ?

ვეიხაროდა არხეოლოგიური საზოგადოების დაარსება ჩვენში, ბევრნა, თვითონ ხალხი თუ არა, ის მაინც იზრუნავდა ამ საინტერესო და ძვირფას წიგნებისა და ნივთების დაცვისათვის. აღმოჩნდა რომ ეს საზოგადოებაც, როგორც ჩვეულებრივად ყველა საზოგადოება ჩვენში, დაბადებისა, დაარსებისათანვე ღრმა ძალა და განსვენებას მიეცა. თითიც არ გაუძირვია თითქმის იმას იმისთვის, რომ შეესრულებინა თავის მიზანი და მოვალეობა, ე. ი. დავსა გავ-



ფუტკრისა, მსარცველები ა მტაცველები-სა ან ჩვენი ქვეყნის ძველი შენობები, წიგნები ნიეთები და სხე.

რაც დრო მიდის, იგი თან-და-თან იკარგება, ფუტკრე და ისობა ეს ჩვენი ძველთაგან დანაშთენი სახსოვარნი; თუ ასე წავიდა საქმე, ვინ იცის, იქნება რამდენიმე ათი-ოცი წლის შემდეგ ჩვენ მხოლოდ ძველი ნანგრევი ციხეები და მონასტრები მოგვაგონებენ, რომ ერთ-დროს ჩვენ, ქართველებსაც ისტორიულად გვიცხოვრია.

ამის გამო, თუ ჩვენ ცოტადნათ მაინც გვესმის, რა მნიშვნელობა აქვს, თვით ახლანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის, ძველთაგან ნაშთს ყოველ თვით უბრალო ნიეთს, თუ გვესმის, რომ ამ ძველ წიგნებისა და საგნების შემწეობით შეიძლება ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრების შესწავლა, ჩვენი გონება-განსწილობისა, წარძობისა, ვაჭრობისა, ხელოვნობისა, არქიტექტურისა და სხვა, თუ, ერთის სიტყვით, გვესმის, რომ ჩვენი მომავალი ცხოვრება უნდა იყოს გაუმჯობესებული გაკრძელება ძველის ცხოვრებისა, თუ ჩვენ ყველა ეს გვესმის, — უჭველია გულ-მოდგინეთ უნდა ვეცადოთ, რომ არცერთი უბრალო რამ ნიეთი და სახსოვარი ჩვენ მამა-პაპათა არ იკარგებოდეს, — ერთი რამ საშუალება უნდა მოვნახოთ რომ არავინ იტაცებდეს, არავინ გვართმევდეს მთელი ხალხის საკუთრებას.

ს. მ.

დღიური

* * * ამ ორშაბათს, 17 სექტემბერს, დანიშნული კრება ჩვენი ქალაქის რჩევისა ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რაცხეი ხმოვანებისა — 24 კაცი — ვერ მოკრავდა. ეს მეორედ არის, რომ ახლად დაწყებული სხდომები რჩევისა, ხმოვანების მოუხვლელობის გამო, ვერ მოხერხებულა. ჩვეულებრივ მიხეზებს (ხმოვანების სიზარმაცისა და გულ-ავარდნილობის) გარდა ეს, უჭველია, იმასაც უნდა მიეწეროს; რომ ჯერ ყველა ხმოვანები არ დაბრუნებულან ქალაქში.

* * * * * თფილისის მოამბეში* იწერებიან პარსილამ, რომ იქაურის ლუბერნატორის ღენ. ჭრანკინის განკარგულებით პარსის ყველა სავაჭო და საქალაქო სომხური შკოლები დაკეტეს პირველ ენკენისთვესაო. ამბობენ, რომ ამ საგნის შესახებ ადგილობრივ სომხებს თავიანთ პატრიარქისათვის უთხოვნიათ რუსის მთავრობასთან შუამდგომლობა და ნებართვა ხელ-ახლად ხსენებული შკოლების გახსნისა.

* * * ჩვენ მივიღეთ ზემო-იმერეთიდან შემდეგი შენიშვნა გაზეთში გამოასაცხადებულად:

„ჩვენ სოფელ სარგველში იყო ერთი მდიდარი აზნაური, სახელდობრ ლევან მაჭავარიანი, რომელსაც სიკვდილის

შემდეგ დარჩა 12 ათასი მანეთი ნაღდათ ფული და სხვა ძიწა-წყალაც ძალიან ბევრი. იქას დარჩა ოთხი ქალი და ვაჟი კი არა ყვნდა.

ამას გარდა ამ მაჭავარიანს დარჩა სამი ძმა და როდესაც მოკვდა, ერთმა იმათგანმა, რობელოსაც უნდოდა ანეკუნობა, დახარჯა 600 მანეთზედ მეტი და იშოვა ამ დიდ-მამულზედ ანეკუნობა.

მართალია, ბიძა იყო ობლებისა და მისცეს ანეკუნობაო, მეტყვიან. ძი მართალია, მაგრამ ეხლა ისეც გაიგეთ — თუ როგორ მოხმარა იმან მოვალეობა.

თითქმის საცხოვრებელი მიცვალებულისა შესჯამა, ის ფულები (12,000 მანეთი) ჩაიღო ჯაბეში და ობლებს კი ატყვილებს ფულები გავასხსნო, სადაც კაპეიკიც არა სჩანს, და ბოლოს ეს ქალებიც დაყდა ამ ნაირათ:

როდესაც მოვიდა გათხოვების დრო უფროსისა ანეკუნა ეძია იმისთანა კაცი, რომელიც ბევრ ფულს მისცემდა ქალში და ბოლოს იპოვნა: ეს იყო აზნაური პ. კ. — შვილი, რომელმაც მისცა ამ ჩვენ ანეკუნს 600 მანეთი ამ პირობით, რომ იმ უფროს ქალს ქონდა დიდი მამული მაძისა ანდერძით დატოვებული, რომლის მიცემასაც ქალების ბიძა და ანეკუნი შეპირდა. მაგრამ საქმის შესრულების დროს უარი ჰყო თავის პირობაზედ.

ახლა მოვიდა მეორე დის გათხოვების დრო და ანეკუნმა იმ გვარადვე დაიწყო მაჭანკლობა: კიდევ გამოძებნა მეორე სასიძო აზნაური მ. წ. — თელი, რომელმაც მისცა ამ ჩვენ ანეკუნ-მაჭანკალს 400 მანეთი და ამასაც არაფერი მისცა მზითებათ.

სწორეთ ამ გვარადვე მესამე ქალისთვისაც დაიწყო; მონახა მ. — ძე იმანაც მისცა 300 მანეთი, მაგრამ ჯერაც ჯვარი არა აქვს დაწერილი, რადგანაც მზითებს არას აძლევს...

როგორ მოგწონთ ამისთანა ოინები ჩვენი პატროსანის ბიძა-ანეკუნისა. თავის თავის პატივის-ცემას, როგორც ჰხედავთ, ჰქონია; მაგრამ პატარა უბედურება ეს არის, რომ თავის საანეკუნო არსებინი და ძმინ-წულები კი, რომელთაც ამდენი შეძლება დარჩათ, ულუკმა-პუროთ დასტოვა*.

„დროშის“ კორრესპონდენცია

ზაქათალის მაზრილამ, 7-ს სექტემბერს. მაგრამ ეს დონ-შუანები კი თავიანთ თავს ძალიან ნიჭიერ და სასარგებლო პირებად რაცხვენ; თვითონ ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებას იღენენ, პირშავს სხვებს ხდიან.

შარშან კახის მაზრის სომხებმა, მოაგროვეს ათ-თორმეტიოდე თუქანი ფული აქაურის (სომხურის) შკოლის სასარგებლოდ. როგორც ეს ფულები, აგრეთვე ის, რომელიც თვითონ ვართაპეტმა მოაგროვა ადგილობრივ და რუსულ ქურნალ-გაზეთების გამოასაწერად — ჩაბა-

რებულ იქმნენ აქაურის შკოლის ხაზინ; შემდეგ აღმოჩნდა ეს ფული ბი ტურტერას შექმულად. მართაპეტმა დაუწყო ამ ფულების თხოვნა, უარის თქმასზედ ქალი-მის მოქმედების განკიცხავზედ. ტურტერას ეს ძალიან არ მოეწონა და დაუწყო იმის შაგირდებს მას წიხაღმდეგ აღშუალება. როცა შაგირდების გული ვერ მოიგო, იმიტომ რომ მათ ძალიან უყვარდათ, მიიწვია ერთი დღეს აყდარში შაგირდები და უთხრა: „თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თქვენი პაპი-ბიძები და მასწავლებლებიც მე ვარ და არა ვგ (უჩვენებს ვართაპეტზედ) და ყურსაც მე უნდა მიგდებდეთ და არა მკაპა და რომ ჩემი სიტყვები კარგათ დაიხამოთ, აა!“ სთქვა ეს ტურტერამა და ოციოდე შაგირდს უთავაზა თითო სილაქები.

ამის დამსწრე ვართაპეტმა, უამისოთაც მობეზრებულმა, რაბთენიძე დღის შემდეგ გაანება თავი და გასწია ქალაქა. ღღემდე სომხური შკოლა დაკეტულია. ეს იყო ერთი იმისთანა ჩემი გულმტკიცე მუშაკი თავის საქმეზედ, რა გვარსაც ზაქათალის საზოგადოება თავის დღეში ვეღარ მონახავს.

ამ გვარ მჯიღების ტიპი კარგათ იყო გამოსახული სოფ. მართაშენელ „დროების“ კორრესპონდენციაში, ამ წლის № 128-ში. ბანკიცხულ მჯიღებმა ეს ეჭვი აიღეს მაშინ თავიანთ სასოფლო შკოლის მასწავლებელზედ, ჩვენში ცნობილის სიმართლის მოყვარე და გლეხებისათვის გულ-შემატკივარ სტ. ბ. — შეილზედ. დაუწყეს მას დენა და, ამბობენ, განიზრახეს მისი მოკლაო. მასწავლებლის კეთილ-მყოფელება უთხრეს იმას, რომ შენს მოსაკლავათ, ნამდვილათ ვიცითო, ათასი მანეთი მოუკროვებიათო, შენს თავს უშველოო. ამის გამო ხსენებული მასწავლებელი რამდენიმე ხანი დაიმალა ძახში, მაგრამ ჩქარათ შეიტყეს მისი აქ მყოფობა და დაუწყეს ნადირობა. მაშინ საწყალმა დააპირა სრულიად ბანჯის გუბერნიიდან გაქცევა; ამის გამო მოსთხოვა ნუხის გამგეობას ბილეთი. ეს რომ შეიტყეს მჯიღებმა, უთხრეს მაზრის უფროსს: მაგასთან ანგარიში გვაქვსო და სანამ არ გავწორდებით, მაგას ნუ გაუშვებთო. ამის შემდეგ სამმა კვირამაც არ გაიარა, მასწავლებელი იძულებული გახადეს, რომ ნუხში მივიდეს; მეორედ დღეს თურმე საწყალი ღამით გამოპარულიყო სოფლიდგან ოთხ კაცით. ამ ოთხ კაცს შუა გზაზედ ბუჩქებიდამ მიარტყეს მას თოფი შიგ თავში და პანტასავით გადმოადგეს ცხენილამ. ამხანაგები გაქცეულიყვნენ, ის კი იქვე აუკუწათ...

ასეთი განსაღეს ჩვენი აზიური ზნე! მართალია, სტ. ბეჟანაშვილი მოჰკლეს, მაგრამ ზაქათალის მაზრაში კი ვაი მისი ბრალი, ვინც რამე დაწერა, ან ხმა ამოიღო და ესენი განკიცხა, — მაშინ აქაური მსუქანი მჯიღები ას გვართა ზნეობით დასაფლავებენ ეჭვ-აღებულსა და ათას ჭორებს დასწამებენ. თუ ეს მართალი არ იყოს, რასაკვირველია, ზემოხსენე-



ბულ ანგარიშის კორრესპონდენტი სხვა რამეებზედაც, შეძლებისამებრ, ხმას ამოიღებდა...

მოდით ახლა და დაგვხარხარეთ, რომ ჩვენ ღრმა ძალით გეძინავს, ამ არკადიით წოდებულს აღიქმის ქვეყანაში..

აზიელი.

უსხო ქვეყნები

გერმანია

უსხო ქვეყნის გაზეთებში ბევრს იწერებინან ამ ქმად თ. ბისმარკის მენაში წასვლის თაობაზედ. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. თითქმის ყველანი დარწმუნებული არიან, რომ თ. ბისმარკი იმ განზრახვით წავიდა გენაში და იმითომ ინახულა ავსტრიის იმპერატორი და გრაფი პნდრაში, რომ პოლიტიკურ საქმეებზედ ელაპარაკნა და უფრო დახლოებული მეგობრობა და კავრშირი ჩამოეგდო გერმანიისა და ავსტრიის შუაო. ზოგიერთები კი დარწმუნებით ამბობენ, რომ თავად ბისმარკის განზრახვა ის იყო, რომ რუსეთს მოკავშირე სახელმწიფოები ჩამოაკილოდა.

ამას გარდა ბევრს სხვა რამეს ამბობენ თ. ბისმარკის მოგზავრობაზედ; ყველასი საზოგადო აზრი კი ეს არის, რომ ამ მოგზავრობას ის მიზანი არა აქვს, რომ ამ მოკლე ხანში მაინც მეროპის მშვიდობიანობა დაარღვიოს და პირიქით შევიდრ მშვიდობიანობას მოველოდეთ.

ოსმალეთი

არზრუმიდამ იწერებინან ერთს ფრანკულულს გაზეთში, რომ მურთის ტანში ხალხის ორგულობა თან-და-თან ძლიერდება; აჯანყებულების მოთავედ არის თურმე შეიხა აბდულა, რომელსაც დიდი ძალა და გავლენა აქვს მურთებში. მოსულსა და დიარბეკირის შუა სულ ყველა გზები აჯანყებულებსაგან არის შეკრული. არზრუმიში მოვლიან ამ მოკლე ხანში სალიხ-ფაშას, რომელიც სტამბოლიდამ არის დანიშნული აჯანყებულ მურთების დასამშვიდებლად. იხმაილ ფაშას კი ჩამოართვის სარდლობა.

რუსეთი

რუსულ გაზეთს „ნოვოსტში“ დაბეჭდილია, რომ ახალ-თქვეს ატრიადი მერვამდინ არ გაიწევს. ამ ექსპედიციის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ შიხილ-არვატსა და ბაბაღურმას შუა მანაწალა მურქმენები დაიმორჩილონ.

საბაასო

პასუხი მგზავნი ჩხეიძისას.

შე. რედაქტორო! „დროების“ მე-128 188 ში არის დაბ. ჭილი მეგენია ჩხეიძის კორრესპონდენცია, რომელშიაც ავტორი ერთობ სასტიკად და სრულიად უსაფუძვლოდ ჰკიცხავს მუთაისის ქართული სცენის მოყვარეთ წრის მოქმედებას.

დასარღვევლად ამ კორრესპონდენციისა და დასამტკიცებლად სცენის მოყვარეთ წრის წესიერ მოქმედებისა, გთხოვთ, უფ. რედაქტორო, მისცეთ ადგილი თქვენ გაზეთში ამ ჩემს ორიოდ სიტყვას.

შე. ავტორი ბძანებს:

„მუთაისში იმართებოდნენ ქართული წარმოდგენები სცენის სასარგებლოთ. ამ მიზნით ჩემის თაოსნობით მოკროული 120 მანეთი ჩავაბარე მე თვითონ პლ. ჰიჭინაძეს, რომლიდგანაც მაქვს კვიტანცია.“

დიდად მაკვირებენ ეს თქვენი სიტყვები! ჩვენგანს არავის არ ახსოვს, რომ თქვენი თაოსნობით აქ წარმოდგენა გამართულიყოს; (იქნება თქვენს სახლში რომ გვექონდა ხალხი რეპეტიციები, იმას ეძახით თაოსნობას?) და ამ 120 მანეთს როგორ შეკრებდით?—არ არის პატიოსნება საზოგადოების დატყუილება და სხვისი ღირსების და შრომის თავის თავზედ მიწერა. იმ ასოცი მანეთის შეკრებაში იმისთანა მონაწილე იყავით თქვენ, როგორც სხვები და არა მოთავე. ეს ფულები სცენის მოყვარეთ შეკრებეს წარმოდგენით და ანგარიშის შემდეგ, თქვენს სახლში, პლ. ჰიჭინაძეს მიაბარეს შესანახავათ. რომელსაც ჩამოართვეს კვიტანცია და მოგაბარეს თქვენ, როგორც სახლის პატრონს, რადაგანაც არ შეიძლებოდა, რომ ყველაშეენახა.

მაშასადამე იმ ფულებზედ თქვენ იმდენი უფლება გქონდათ, რამდენიც სხვებს. მხლა კი, რადგანაც წრის წევრი არ ბძანდებით სრულიად არ გაქვსთ უფლება მოგეთხოვოთ მისი ანგარიში.

შემდეგ ბძანებთ:

„წარმოდგინეთ, ესლა შემდგარა ახალი წრე, რომელსაც გადუწყვეტია ძველი წევრების გაუქმება და ჩვენგან მიბარებული ფული ჩამოურთმევია პლ. ჰიჭინაძისათვის და სხვისთვის მიუბარებია, ჩვენ ძველი წრის წევრების დაუკითხველად.“

ძლიერ შემცდარი ხართ ამის თქმისათვის. ძაცმა რომ თქვას, კიდეც უნდა დაამტკიცოს თავის ნათქვამი. მართი მიბძანეთ, რომელ ძველ წრეს ეკუთნოდით თქვენ და რომელი წრის შეკრებილია ის 120 მანეთი? როგორ შეეძლო ახალ წრეს გაუქმება ძველი წრე, როდესაც ის არ არსებობდა იმ დროს და დიდი ხნის გაუქმებული იყო, თქვენისთანა გულმოდგინე და მშრომელი წევრების წყალობით?!

ამასთანავე ისე ლაპარაკობთ თითოეულ ამ უკანასკნელი წრის დაარება არ გცოდნოდეს.

როდესაც შეუდექით ამ წრის დაარებას, პირველ სხდომაზე თქვენ, როგორც სხვები, ისე იყავით მოწვეული, მაგრამ, არვიცით რა მიზეზისა გამო უარ-ჰყავით და არ ჩაირიცხეთ თავი წრეში, და შემდეგ ამ წრის დაარებისა თქვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგილიათ ქართულ წარმოდგენებში. ბეჭადლოდით თვილისის ტრუპაში გადსვლას, სადაც მოვლოდით 1,500 მანეთს წლიურ ჯამაგირს... მაშასადამე იმ წუთიდან, რა წუთიდანაც თავი მიანებეთ ამ საზოგადო საქმეს, თქვენ, წრის წესდების ძალით, დაკარგეთ ყოველი უფლება შესახებ სცენის საქმეებისა და ფულებისა. შემდეგ იმისა არავითარი უფლება არა გაქვსთ წრეს თავის მოქმედების ანგარიში მოთხოვოთ.

არ გკითხავს თქვენ წრე რჩევას სცენის ფულების მოხმარებაზე, იმითომ, რომ თქვენ კერძო პირი ბძანდებით და, მოგვხსენებთ, კერძო პირა არ აქვს სიმართლე გაერიოს წრას რჩევებში და გარდაწყვეტილებებში.

ი ავერ გაგამართლებთ თქვენ, რომ ვითომც რამდენიმე წარმოდგენებში მიგილიათ მონაწილეობა. თუ გინდოდით სცენისათვის გეშრომათ და წრის საქმეებში გარეგოდით, არ უნდა მიგენებებიათ თავი ამ საქმისათვის. მხლა, რადგანაც თქვენ თვითონ მიანებეთ თავი, აღარ გაქვსთ სამართლე ანგარიშის მოთხოვნისა.

პლ. ბამრეველოვი.

(დასასრული შემდეგ №-ში)

განცხადებანი

გამგზავლი კომიტეტი თვილისის გუბარნიის თავად-ანნაშრთა საზოგადოებისა შემოქმედებელთა მოსწავლეთა შემოქმედებისათვის ამით აცხადებს, რომ 8 სექტემბერს „საზოგადოების“ შკოლაში პანსიონერებად, „საზოგადოების“ ხარჯზედ, მიღებულ იყვნენ:

- 1) ანდრონიკოვი სვიმონი,
- 2) მიჩაშვილი არჩილი,
- 3) ბერძენოვი ალექსანდრე და
- 4) ბერძენიშვილი იასონი.

პანსიონერებად 200 მან. შემოტანიათ:

- 1) ჩრდილელი მასილი,
- 2) ჩრეულოვი ივანე,
- 3) ხერხეულიძე პანსტანტინე,
- 4) მურმანაივი დავითი,
- 5) ცაციაოვი ილია და
- 6) ანდრონიკოვი ივანე.

ბარედგან უფასოდ მოსიარულედ:

- 1) ცომაევი ლეონტი,
- 2) ტალმაჩევი მიხეილი,
- 3) შურცელაძე ზურაბი,
- 4) მაღალოვი პანსტანტინე,
- 5) ხანჯალაძე ბიორგი,



- 6) სულხანოვი ივანე,
- 7) ანანიევი ილია,
- 8) ძობიევი ვლადიმირი,
- 9) ჯორჯ ძე დიმიტრი,
- 10) ანანიევი ბიორგი და
- 11) შიფიანი სვიმონი.

ყსი ხვედრი ფულის შემოტანისა არის შემდეგი: პანსიონერებმა 200 მანეთის შემოტანით უნდა წარმოადგინონ 100 მანეთი 1 სექტემბერს, 100 მ.— 1 მარტს; პანსიონერებმა 100 მანეთის შემოტანით უნდა წარმოადგინონ 50 მანეთი 1 სექტემბერს, 50 მანეთი— 1 მარტს; ფასით გარედგან მოსიარული შევირდებმა უნდა წარმოადგინონ 15 მანეთი 1 სექტემბერს, 15 მანეთი— 1 მარტს. თუ აღნიშნული ხვედრი ფული არ შემოიტანეს მარტის და სექტემბერი განმავლობაში, შევირდები იქმნებიან გამორიცხულნი უკოლიდგან.

შინც ზემოაღნიშნულ შევირდებთაგანი არ გამოცხადდება უკოლაში დენობისთვის პირველადინ, იგი გამოირის-

ხება უკოლიდგან და იმის ალავი სხვას მიეცემა. (2—2)

მდიონისა და ხირუჭის დოქტორი ქიუხარინანი დაბრუნდა სამზღვარ გარეთილად და იღებს ავთამყოფებს მუდამ დღე დილის 8 საათილამ ვიდრე 10-მდინ და საღამოს 5 საათილამ 7-მდინ.

ღარიბებს ექიმობისათვის არაფერს არ ახდევინებს.

დოქტორი ქიუხარინანი სდგას: სოლოლაკში, ბალის (სადოვის) ქუჩაზე, მჭენდიევის სახლებში, № 56.

(5—3)

თელავის უაზის სოფ. ყვარალში ვიეცემა არენლით ვაჟული: ვენახები, სახნავ-სათე-

სი ადგილები, ტყე, სახლი თავის მარნით, წისქვილით და სხვა ყველაფრით მოწყობილი.

დაწერალებით პირობები შეტყობა შეიძლება თფილისში, ძაენდანტის ქუჩაზე, არწაკუნის სახლების (ძრუქოკის) გვერდით, ეზოში, ავთანდილოვის სახლებში, № 36.

(5—5)

გამოვიდა და ისყიდება „ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში“ უ. იონისიანთან

პირველ დაწყებითი სწავლა

ძრისტიანებრივის მართლმადიდებლობითის სარწმუნოებებისა.

დ. კოკლოვისა.

რუსულიდამ გადმოთარგმნილი ბ. დიდებულისისაგან.

შასი სასწავლებელთათვის . . . 50 კ.

ხვებთათვის 60 კ.

(4—4)

ჭუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, ივანე კურწოვის მაღაზიაში ისყიდება ნამდვილი, თეთრი

წმინდა (თაფლის) სანთელი

შასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იათია.

ამ გარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე თფილისშიაც, სიონის ულიცაზედ, მწანოვის ქარვასლაში.

(10—5)

გასწავლებელი ამჟამადს უზღირდებს უკოლაში მისაღებათა. მსურველთ სთხოვს თავიანთ აღრამს დასტოვონ „დროების“ რედაქციაში.

(3—3)

მართული წარის გასწავლებელი დელანა

(პროპისი) სურათებით

უელ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარქვიანის, მათანოვის და ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიებში, ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას მოფურძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ძეკელიასთან უკოლაში,

მზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,

ხონში: უფ. ჯალაგანიძისთან,

ზორს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

სიღნაღს: უფ. ძ. ბალაშვილთან.

შასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

თფილისის ქალაქის უბრავე სთხოვს ყველას, ვისაც ტრაქტირები და საზოგადოთ სასმელების დუქნები და დასადგომი სახლები აქვსთ ქ. თფილისში, რათა 5 და 6 ენკენისთვის, დილის 10 საათზედ მივიდნენ ქალაქის საბჭოს ზალაში დეპუტატების ამოსარჩეველად თანხმად 22 და შენიშვნის 59 სტ პოლოფ. ტრაქტ. და დუქნების, ტრაქტირებისა და საზოგადოთ დასადგომი ადგილების მქონე პირთაგან შემდეგი ოთხი წლისთვის აქციზის რასკლაძეისთვის.

რპ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	ტელავრაში	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მცირე სიტყვა თფილისილამ	—	თფილისი 11 სექტემბ.	—	მრეწ. მ. დ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ძავესიის აქეთა მხრის ყველა	—	უქვ. თფ. ბანჯისა ფუთ.	250	ავთამყოფებს მიიღებენ ყოველ
ბორი	11 58	9 43	3	153	ქალაქებში	50	უქვ. წითელი	180	დღე დილის 8 საათილამ 10-დინ.
ხაშური	129	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდევსას, მოსკოვს,	2	მერ ფუთი	140	მ რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი და
სურამი	144	4 90	2 61	3 69	პეტერბურღს, მარშავს	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	840	ბარალევიჩი—შინავ. ავთამყოფობის.
შე რილა	5 49	7 21	3 69	3 69	მსმალეში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთს	920	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი შინავ.
რიონი	6 57	8 44	4 31	4 31	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაენტლი ბამბა ფუთი.	1060	ავთამყოფ.; რეინი—თვალის, შურავ-
სამტრედია	7 51	9 66	4 93	4 93	ინგლისში	3 75	მატყული თფუთი ფუთი.	840	დღევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
ახალ-სენაკი	8 43	10 71	5 47	5 47	ფოხტა	—	— თრაქამისა ფუთი	420	ბოვი—გულისა და შინავ.
ფოთი	9 50	12 24	6 26	6 26	ა) თფილისილამ: სამზღვარ გარეთ,	—	აბრეშუმ ნუხური სტ.	210	მ თ ს შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—ში-
ფოთი	9 3				მუთაისს, რუსეთს—კოველ	—	მონი ფუთი	570	ნავ, ასტუა-ც ტუროვი—ქალისა და
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და	—	მონის სანთელი ფუთი.	760	ბავშვების ავთამყ.
სამტრედია	11 5		2 61	1 33	ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ძა-	—	სტეპარინის სანთელი ფ.	1180	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი—ში-
რიონი	12 13		3 84	1 97	ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაი-	—	ხორცი ძროხისა. ლიტრა	—	ნავ. ავთამყ. და შურავლევი—კანის
შვირილა	1 18	ლაშე.	5 3	2 56	სილამ: თფილისისა და ფოთისაკენ—	—	— ცხვრისა, ლიტრა	—	და ვენერიულის.
სურამი	5 12	110	7 34	3 74	ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-	—	სპირტი ვედრო	450	პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ე ბ ი ა ნ: ლისი-
ხაშური	5 39	137	7 51	3 84	გეთს—ორშ. და პარასკ.	—	შეკარი ბროც. ფუთ	735	ცივი, შინავ.; მსტვა-ცატუროვი—ვე-
ბორი	7 5	4 89	24 473	4 73	წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	— ფხვნილი ფუთი	570	ნერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და
მცხეთა	8 50	6 59	11 39	5 82	და სამზღვარ გარეთ:	—	შავა რგვალი გრგ.	65	შინავ. ავთამყოფ.
თფილისი	9 31	7 56	12 24	6 26	ლა წიგნის	3	შეთი ქუჩუთისა ფუთი.	158	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი, შინავ.; შურ-
					დაბეკდლის (სამი მისხლი)	7	თამბკო საშუალო ფთ.	660	ავლევი.—ვენერ. და კანის რეინი—